# 14 აპრილი საქართველოს სსრ კონსტიტუციის დღეა

**მუხლი 39. საქართველოს სსრ მოქალაქეებს აქვთ დასვენების უფლება.
ამ უფლებას უზრუნველყოფს... ყოველკვირეული დასვენების დღეები, აგრეთვე კულტურულ-საგანმანათლებლო და გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა ქსელის გაფართოება, მასობრივი ფიზიკური კულტურისა და ტურიზმის განვითარება, საცხოვრებელ ადგილებზე დასვენების ხელშემწყობი შესაძლებლობებისა და თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენების სხვა პირობების შექმნა.**

# უფლებაც და მოვალეობაც

კონსტიტუცია მხოლოდ უფლება როდია, იგი მოვალეობაც არის, რომლის აღსასრულებლადაც ცხოვრობს და ყოველდღიურად საქმიანობს თითოეული ჩვენგანი. უფლებები, რომლებიც გარანტირებულია კონსტიტუციით, ჩვენი საზოგადოების ყველაზე დიდი მონაპოვარია. ავიღოთ თუნდაც შრომის, დასვენების, ჯანმრთელობის უფლება. ზრუნვა ადამიანის კეთილდღეობისათვის — აი, რა არის ამ უფლებათა ლაიტმოტივი. მაგრამ, როგორ ვიყენებთ უფლებებს? ვფიქრობთ, სწორედ აქ ვერ ვამჟღავნებთ თითოეული ჩვენგანი აქტიურ დამოკიდებულებას მოვალეობისადმი. უდიდესი შესაძლებლობებია, ვთქვათ, ფიზიკურ კულტურასა და სპორტში, მაგრამ ყველგან და ყველა როდი ვიყენებთ ამ შესაძლებლობებს. მასობრივი გაჯანსაღებისათვის ბუნებრივ-კლიმატური პირობებიც ხომ ხელსაყრელი გვაქვს. ადამიანებზე ზრუნვის, მათი შრომისა და დასვენების, ჯანმრთელობის დაცვის კონსტიტუციური უფლების პრაქტიკულად ხორცშესხმის მისაბაძ მაგალითს იძლევა რესპუბლიკის მრავალი შრომითი კოლექტივი. დღეს ჩვენ შევჩერდებით ორ მათგანზე, რომელთა მიღწევები ნათლად მიგვანიშნებს სოფლად და ქალაქად არსებულ დიდ რეზერვებზე და შესაძლებლობებზე. მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების კოლმეურნეობამ შორს გაითქვა სახელი, როგორც სამაგალითო კოლექტივმა. ეს სოფელი ქალაქს გაუტოლდა თავისი ყოფით, მშრომელ ადამიანებს იქვე აქვთ განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების სანიმუშო კერები, უნიკალური სპორტული ბაზები. აქ ადამიანებს პრაქტიკული პირობები შეუქმნეს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებების გამოყენებისთვის. იგივე ითქმის ზუგდიდის „საქქაღალდმრეწვის“ საწარმოო გაერთიანებაზე. ამ ორგანიზაციის გენერალური დირექტორი ოთარ ფაცაცია და ნატანების კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გივი წითლიძე ის ხელმძღვანელები არიან, რომლებიც წარმატებით წყვეტენ სოციალურ საკითხებს, თამამად ნერგავენ სიახლეებს, დღენიადაგ ზრუნავენ ადამიანების შრომისა და აქტიური დასვენების უზრუნველყოფისათვის. ამიტომაც იყო, რომ ორივენი პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების I საკავშირო ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდნენ.
კონსტიტუცია ცხოვრობს, კონსტიტუცია მუშაობს, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობა ქვეყნის ძირითადი კანონით არის განმტკიცებული.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

14 აპრილი, ხუთშაბათი, 1988 წ.
№ 73 (9740) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან




კუს ტბის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი ხალხის სამსახურში ჩადგა.

მალხაზ დათიკაშვილის (საქინფორმი) ფოტოები.

მოახლოვდა ქართულ ჭიდაობაში საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრიზზე ქალაქის უბნებისა და სოფლების რესპუბლიკური პირველობის ფინიში. შაბათს, 16 აპრილს, თბილისის სახელმწიფო ცირკში ერთმანეთს ხვდებიან: გიორგიწმინდა (საგარეჯო) — ვაყა (ხაშური); მეტეხი (კასპი) — ქ. გორი; ქისტაური (ახმეტა) — აფენი (ლაგოდეხი).

დასაწყისი 12 საათზე.





# მხოლოდ ადამიანის კეთილდღეობისათვის

**გთავაზობთ პროფკავშირთა ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების I საკავშირო ყრილობაზე ზუგდიდის საწარმოო გაერთიანება „საქქაღალდმრეწვის“ გენერალური დირექტორის ოთარ ფაცაციას გამოსვლის ტექსტს.**

**ქვეყნის** უმნიშვნელოვანესი ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად, როგორც თავის გამოსვლებში მრავალგზის გაუსვა ხაზი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა, მაქსიმალურად უნდა დავაჩქაროთ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, წარმოების კარდინალური გადაიარაღება და ეკონომიკის გარდაქმნა. ამასთან იგი მოითხოვს სახელმწიფოს მთელი პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების დემოკრატიზაციასა და გააქტიურებას, ხალხის ფიზიკური და სულიერი ძალების სრულ მობილიზებას.

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება და მოსახლეობის ფიზიკური გაჯანსაღება ურთიერთდაკავშირებული პრობლემებია, რომელთა წარმატებით გადაწყვეტაზე ბევრადაა დამოკიდებული ქვეყნის შემდგომი წინსვლა.

საბჭოთა ხელისუფლების პირველი დღეებიდანვე ახალგაზრდა სოციალისტური სახელმწიფო, ნგრევის, შიმშილისა და ეკონომიკური ბლოკადის მიუხედავად მოსახლეობის ფიზიკური აღზრდის ძირფესვიან გარდაქმნას შეუდგა. მთელი აქცენტი ხელმისაწვდომ ფიზკულტურულ სახეობებში მშრომელთა ჩაბმაზე გადავიტანეთ. შედეგებმაც არ დააყოვნებია. გაჩნდა ფიზიკურად მძლავრი, შრომისა და თავდაცვისათვის მომზადებული თაობა. მაგრამ მერე, უძრაობის პერიოდში დავთმეთ პოზიციები. ფიზკულტურისა და სპორტის მასობრივი განვითარება ერთეულთა რეკორდებით და მედლებით გატაცებით შეიცვალა, რაც ხშირად, საწარმოებსა და საზოგადოებებში ფიზკულტურის მდგომარეობის სრულ სურათს არ გვაძლევდა. საბოლოო შედეგები ფიზკულტურასა და სპორტში ჩაბმულთა რიცხვით კი არა, თითო-ოროლა ოსტატებით ფასდებოდა.

ოდესღაც ზუგდიდში იყო შესანიშნავი ფეხბურთის გუნდი, აქაური ცხენოსნები იმარჯვებდნენ

იხ. 2 გვ.

# ზონალურ ტურნირებზე

**გუშინწინ** გვიან საღამოს ორი სასიხარულო ცნობა მივიღეთ ბაქოდან და ბორჯომიდან, სადაც მიმდინარეობს 16 და 20 წლამდე ასაკის გოგონათა და 21 წლამდე ასაკის მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო პირველობების ჩვენი ქვეყნის ზონალური ტურნირები. საქმე ისაა, რომ ორივე შეჯიბრების ლიდერებმა, ჩვენმა თანამემამულეებმა კიდევ თითო ქულა მიუმატეს თავიანთ აქტივს, და თუ ლაშა ჯანჯღავამ მხოლოდ ორი შეხვედრა ჩაატარა და ორივე მოიგო, ქეთევან კახიანის ანგარიშზე უკვე ექვსი მოგებაა შვიდ შეხვედრაში. მოვლენებს ნუ გავუსწრებთ, მაგრამ დღეისათვის იმის თქმა მაინც შეიძლება, რომ ორივე „ფრონტზე“ მდგომარეობა დამაიმედებელია და თუ ასეთივე შემართებით განაგრძობენ ბრძოლას ჩვენი მოზარდები, უეჭველად მიაღწევენ სასურველ მიზანს.

ბაქოში, სადაც გოგონები მონაწილეობენ, VII ტურის შეხვედრები ასე დამთავრდა: კახიანი — ბელაკოვსკაია — 1:0, ტერელაძე— ჯანჯღავა — 1:0, ველიხანლი — ლევიტანი — 0,5:0,5, სოფიევა — ერმოლინსკაია — 1:0, სულთანოვა — სკუინია — 0:1. გადაიდო სოკოლოვა—დომარკაიტესა და დიომინა — ლანჩავას პარტიები. სპეციალისტების აზრით, ლანჩავამ ნახევარი ქულა უნდა მიუმატოს თავის აქტივს.

აი, რა მდგომარეობაა ლიდერთა ჯგუფში 7 ტურის შემდეგ: ქეთევან კახიანს 6,5 ქულა აქვს, აინურ სოფიევას (აზერბაიჯანი) — 5, მარია ერმოლინსკაიას (უკრაინა) — 4,5, ლაიმა დომარკაიტეს (ლიტვა) — 4 (1), სოფიკო ტერელაძესა და იულია ლევიტანს (ბელორუსია) — 4-4. თეა ლანჩავას 3 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს, ნათია ჯანჯღავამ 3 ქულა მოაგროვა.

ბორჯომში ვაჟებმა III ტურის შეხვედრები გაითამაშეს. ჯანჯღავამ შავებით სძლია კამსკის, ასევე შავებით შიროვმა დაამარცხა დრეევი, სოროკინმა შჩერბაკოვს მოუგო. დაზავდნენ აკოფიანი — ხენკინი და კომაროვი—სმირინი.

3 ტურის შემდეგ დაწინაურდნენ ლაშა ჯანჯღავა — 2 ქულა 2 შესაძლებლიდან, ვლადიმერ აკოფიანი (სომხეთი), მაქსიმ სოროკინი (მოსკოვის ოლქი) და ალექსეი შიროვი (ლატვია) — 2-2 ქულა 3-3 შეხვედრიდან.

გუშინ ბაქოში მონაწილენი ისვენებდნენ. დასვენება გამოუვიდათ ჭაბუკებსაც. საქმე ისაა, რომ გუშინ ბორჯომში გადადებული პარტიების დამთავრების დღე იყო, მაგრამ ტურნირში ჯერჯერობით არც ერთი პარტია არ გადადებულა.

დღეს თეა ლანჩავა ხვდება ქეთევან კახიანს, ნათია ჯანჯღავა — იულია დიომინას, იულია ლევიტანი — სოფიკო ტერელაძეს.

## საქართველოს სსრ კონსტიტუციის დღისადმი მიძღვნილი პოლიტიკური და კულტურულ-სპორტული ღონისძიებების პროგრამა, რომელმაც მთელი რესპუბლიკა მოიცვა, 17 აპრილამდე გაგრძელდება.



**დღეს** რესპუბლიკის ქალაქებში და რაიონებში ყველგან გაიმართება მასობრივ-სპორტული ღონისძიებები. სპორტის ეროვნულ და კლასიკურ სახეობებში და ხალხურ თამაშებში შეჯიბრებები ჩატარდება აგრეთვე საქართველოს ისტორიული ძეგლების შემოგარენში და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. თბილისის „დინამოს“ სტადიონზე 18 საათზე ერთმანეთს შეხვდებიან თბილისელი და ქუთაისელი ვეტერანი ფეხბურთელები. სპორტის სასახლეში 14 საათიდან თბილისის კომკავშირის საქალაქო კომიტეტის პრიზზე ჩატარდება დედაქალაქის უბნებს შორის კალათბურთელთა გუნდების პირველობის ფინალური მატჩები.

მეტეხის პლატოზე დაგეგმილია მთამსვლელთა საჩვენებელი გამოსვლები, ქალაქის ქუჩებში — ესტაფეტები მძლეოსნობასა და ველოსპორტში.

**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე:** რუსთავში გამართული ღონისძიებების ეპიზოდები.

**რაჟდენ გაბრიჭიძის ფოტოები.**





# მხოლოდ ადამიანის კეთილდღეობისათვის

(დასასრული)

რესპუბლიკურ და საკავშირო ასპარეზობებში, გვყავდა რესპუბლიკის ჩემპიონი ველოსპორტშიც, მთელს მსოფლიოში გაითქვა სახელი ჩვენმა ცნობილმა ჩემპიონმა ნონა გაფრინდაშვილმა.

მაგრამ, რა დასამალია და, ინერტულობამ ჩვენს ქალაქში, ჩვენს გაერთიანებაშიც მოიკიდა ფეხი. ვერ ვიტყვით, რომ არაფერი კეთდებოდა, რადგან ყოველწლიურად ფიზკულტურულ-მასობრივ მუშაობაზე ათი ათასობით მანეთი იხარჯებოდა. მაგრამ ფიზკულტურასა და სპორტისადმი დამოკიდებულება შეიცვალა და მას სათანადო ყურადღებას აღარ აქცევდნენ, ივიწყებდნენ, რომ ფიზკულტურა ადამიანის აქტივობის გამოხატულებაა, რომ იგი ჯანმრთელობისა და მაღალი შრომისუნარიანობის საწინდარია. ამასობაში თანამედროვე ცხოვრების პირობებმა და საზოგადოებრივი ცხოვრების ტემპმა, რომელსაც ფიზიკური აქტივობის დაქვეითება ახლავს, მთელს ქვეყანაში წარმოშვა ისეთი „ცივილიზებული" ავადმყოფობა, როგორიცაა ათეროსკლეროზი, ზედმეტი სიმსუქნე, გულსისხლძარღვთა და ნერვიული დაავადებანი. გავრცელებულმა თამბაქოს წევამ, ალკოჰოლმა და ნარკომანიამ უფრო გაამძაფრა შექმნილი ვითარება და პირველ რიგში მავნე ზეგავლენას ახდენს ახალშობილებზე. გახშირდა თანდაყოლილი ავადმყოფობა, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა, იკლო ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობამ.

ყოველივე ამის გათვალისწინებით გავაანალიზე გაერთიანებაში ფიზკულტურისა და სპორტის მდგომარეობა. საწარმოო გაერთიანება „საქქალალდმრეწვის" ხელმძღვანელობა დარწმუნდა, რომ ფიზკულტურასა და სპორტში დაბანდებული თანხა დაკარგული კაპიტალი არ არის, რომ იგი მარტო მშრომელთა ჯანმრთელობით კი არა, მზარდი შრომისუნარიანობით დაგვიბრუნდება. ვერ ვურიგდებოდით იმას, რომ გაერთიანების მუშა-მოსამსახურეთა ორ-მესამედზე მეტი სპორტული ცხოვრების მიღმა რჩებოდა. საჭირო შეიქნა კონკრეტული ზომების მიღება გაერთიანების მშრომელების სპორტულ მოძრაობაში ჩასაბმელად. ამისათვის სულ მალე მწყობრში ჩადგება დახურული სპორტული კომპლექსი, რომელიც ორ მილიონამდე დაჯდა. კომპლექსს 10 ათასი კვ. მ. სასარგებლო ფართობი აქვს. ეს არის კაპიტალური ნაგებობა საცურაო აუზით, საჭყუმპალაოთი, ორი დიდი სათამაშო სპორტდარბაზითა და 600-ადგილიანი ტრიბუნით. კომპლექსს აქვს; აგრეთვე, კრივის, ჰიდაობის, ფარიკაობის, ძალოსნობისა და ტანვარჯიშული დარბაზები, სადაც ერთდროულად 500 სპორტსმენი ვარჯიშობს. ეს უკვე მასობრიობაა და არა ერთეულთა სპორტული გატაცება.

გავხსენით სარეაბილიტაციო კომპლექსიც, რომლის ასაშენებლად დაიხარჯა მილიონნახევარი მანეთი. ცენტრს აქვს სატრენაჟორო დარბაზი, საუნა, ფიზიო და წყლის პროცედურების სხვადასხვა კაბინეტი. კომპლექსი ემსახურება ყველა ასაკის ადამიანებს. მშრომელთათვის საწარმოში გახსნილია ფსიქო-ემოციური განტვირთვის და აუტოტრენინგის კაბინეტი, რომლის გამტარუნარიანობა საათში 100 კაცია.

გაერთიანების დასახლების კვარტლებში მარტივი ტიპის 4 სპორტული მოედანია. მაგრამ მეტის გაკეთება შეგვეძლო და ამჟამად ვაპროექტებთ კიდეც. დავიწყეთ რეკონსტრუქცია 12 ათასიანი სტადიონისა, რომელსაც აქვს ღია საცურაო აუზი ცხელი წყლით და საჩოგბურთო კორტი. მისი ხარჯთაღრიცხვა მილიონს აჭარბებს. ასე რომ, ამჟამად ზუგდიდში არის კარგი მატერიალურ-სპორტული ბაზა ფიზკულტურისა და სპორტის მასობრივი განვითარებისათვის, მაგრამ განვიცდით კვალიფიციურ მწვრთნელ-სპეციალისტთა დეფიციტს — მოწვეული კადრები ფეხს ვერ იკიდებენ.

როგორც ითქვა, ზუგდიდი მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონის მოჭადრაკე ნონა გაფრინდაშვილის სამშობლოა. ეს საყოველთაო თამაში ჩვენში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს. ამიტომაც შემთხვევითი არ არის, რომ გაერთიანების მთელი პერსონალი მოუთმენლად ელის თანამედროვე პროექტით სახელგანთქმული ჩემპიონის სახელობის საჭადრაკო კლუბის აგებას, რომელიც 300 მაყურებელს დაიტევს.

ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ სპორტული ნაგებობები, კერძოდ: კულტურისა და სპორტის სასახლე, სტადიონი, მომავალი ჭადრაკის სასახლე და თანამედროვე ტიპის სასტუმრო სავსებით დააკმაყოფილებენ საერთაშორისო მასშტაბის ასპარეზობათა მოთხოვნებსაც კი. ვიმედოვნებთ, ქ. ზუგდიდში მარტო მოჭადრაკეები კი არა, სპორტის სხვა სახეობებშიც აღიზრდებიან ჩემპიონები.

საზოგადოების პირველი რესპუბლიკური ყრილობის მუშაობაში მონაწილეობისას, დელეგატებთან საუბარში შევეხეთ არაერთ მტკივნეულ და პრობლემურ საკითხს, რაც ხელს გვიშლის მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის ორგანიზაციის გაუმჯობესებაში.

სხვა ობიექტურ მიზეზებთან ერთად, განსაკუთრებულად აღინიშნა, რომ უნდა გადაისინჯოს, შეიცვალოს და დაკონკრეტდეს არსებული სანორმატივო დოკუმენტები, ინსტრუქციები და ამ მიმართულებათა დებულებები.

ეს უნდა გაკეთდეს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ამ დოკუმენტებში ხშირად შევხვდებით ერთმანეთის საწინააღმდეგო მოთხოვნებს, არ არის გარკვეული პროფკავშირების საზოგადოების კონკრეტული ამოცანები.

აქედან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ აუცილებელია ერთიანი სანორმატივო დოკუმენტების შექმნა.

და კიდევ. საჭიროა კი მშდ-ს სამკერდე ნიშნები? ჯერ არ შემხვედრია ფიზკულტურელი, სიამაყით რომ ატარებდეს მას. არადა, რამდენი სახსრები, შრომა და მასალა იხარჯება მის დასამზადებლად. უმჯობესი არ იქნებოდა, ეს სახსრები ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ მუშაობას რომ მოხმარდეს? ვფიქრობ, ეს საკითხი ყურადღებას იმსახურებს.

და ბოლოს, „საქქალალდმრეწვის" საწარმოო გაერთიანების სახელით მინდა დავარწმუნო ყრილობის დელეგატები, რომ ამოცანებს, რომელიც გაერთიანების წინაშე დგას, წარმატებით შევასრულებთ.

# დამონტაჟდება თბილისის ეზოებში











**საცხოვრებელ** ადგილებში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტულ-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესების მიზნით თბილისის საბინაო მეურნეობის სამმართველომ (უფროსი თეიმურაზ მეგრელაძე) გასული წლის დეკემბერში ხელშეკრულება გააფორმა ტულის ოლქის ქ. უზლოვაიას საწარმოო გაერთიანება „კრანთან" ბავშვთა სათამაშო მოწყობილობების 100 კომპლექტის შესაძენად. თითოეული კომპლექტი შედგება 7 დასახელების მოწყობილობისაგან და ღირს 963 მან. დღეისათვის მიღებული და განაწილებულია ასივე კომპლექტი. ისინი რაიონების საბინაო საექსპლოატაციო ტრესტების მუშაკებმა უკვე მიიტანეს ადგილებზე და დაიწყო კიდეც მათი დამონტაჟება: გლდანის რაიონში 18 კომპლექტისა, 26 კომისრის რაიონში — 16, საქარხნო რაიონში — 13, ლენინისა და პირველი მაისის რაიონებში — 10-10, ორჯონიკიძისა და საბურთალოს რაიონებში — 8-8, კიროვისა და კალინინის რაიონებში — 6-6, ოქტომბრის რაიონში — 5.

გარდა ამისა, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ინიციატივით გაფორმდა შეკვეთა და ქალაქის სხვადასხვა საწარმოებში წელს დამონტაჟდება 19 დასახელების 55 ათასი მანეთის ღირებულების სპორტულ-გამაჯანსაღებელი მოწყობილობები.

დასასრულ, ქალაქის ყველა მცხოვრებს ვთხოვთ, გაუფრთხილდნენ მათს ეზოებში დამონტაჟებულ მოწყობილობებს, მოუარონ მათ.

**ლევან ყურაშვილი,**
**თბილისის საბინაო მეურნეობის სამმართველოს უფროსი ინსტრუქტორ-მეთოდისტი.**



# ანანურელთა დებიუტი

**ბათუმში** ჩატარდა განათლების სამინისტროს სისტემის სპორტულ სკოლებში მომეცადინე 1973-74 წლებში დაბადებულ ნიჩბოსანთა საგაზაფხულო რესპუბლიკური პირად გუნდური პირველობა სპეციალურ (ბაიდარა, კანოე) და საერთო გუნდურ მომზადებაში.

როგორც მოველოდით, სხვებზე უკეთ იასპარეზეს იმ მოსწავლეებმა, რომლებიც საკავშირო თამაშებისთვის ცენტრალიზებულ მზადებას შარშანდელი ივლისიდან შეუდგნენ.

მობაიდარე ვაჟთა შორის გაიმარჯვა რუსთაველმა სტანისლავ სადეცკიმ (მწვრთნელი ვ. მერკატუნი). მეორე ადგილი დაიკავა მცხეთელმა ლევან ვაზაგაშვილმა, მესამე — ფოთელმა კობა ტაბატაძემ.

გოგონათა კონკურსშიც რუსთაველმა ინა არაბაჯიევამ იმარჯვა (მწვრთნელი ლ. ბესპალოვა). მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ქუთაისელი თამარ ახვლედიანი და მცხეთელი ნატო თიგიშვილი.

კანოისტთა შეჯიბრებაში თავი ისახელეს ფოთელმა ნიჩბოსნებმა — სამივე საპრიზო ადგილი მათი გუნდის წარმომადგენლებმა დაიკავეს; პირველი იყო ზურაბ კვინიკაძე (მწვრთნელი ა. იოსავა), მეორე — თემურ გარუჩავა, მესამე — ალექსანდრე ლეფსაია. საერთო გუნდურ ჩათვლაშიც საუკეთესო იყო ფოთელთა კოლექტივი, რომელიც ამ შეჯიბრებისთვის მოამზადეს მ. ჰედიამ, მ. მიქაძემ და თ. მალანიამ. სასიამოვნო სიურპრიზი იყო ქუთაისელთა მეორე ადგილი, რუსთავის წარმომადგენლებს კი წილად ხვდათ მესამე ადგილი.

აღსანიშნავია ერთი სასიხარულო ფაქტი: განათლების სამინისტროს სპორტსკოლების ნიჩბოსანთა რესპუბლიკურ შეჯიბრებაში პირველად იასპარეზეს ანანურის სპორტული სკოლის ნიჩბოსანთა გუნდის წევრებმა. დიახ, სულ რაღაც 4-5 თვეა, რაც აქ, ჟინვალის წყალსაცავზე, საბაიდარო ნიჩბოსნობის ჯგუფები ჩამოყალიბდა და ამ მცირე დროის მიუხედავად ანანურელებმა აფხაზეთისა და აჭარის გუნდებს აჯობეს — რვა გუნდში VI ადგილი დაიკავეს. ცხადია, ეს მათი მწვრთნელის, მცხეთელი სპორტის ოსტატის შალვა მუსოევის მონდომებაზე მეტყველებს.

საერთოდ, შეჯიბრებამ ცხადყო, რომ სპორტულ სკოლებში სათანადო დონეზე არ დგას სასწავლო-საწვრთნელი პროცესი. განსაკუთრებით თვალშისაცემია მოსწავლეთა სუსტი ფიზიკური მომზადება — მოასპარეზეთა ნახევარზე მეტმა ვერ ჩააბარა საერთო ფიზიკური მომზადების ნორმატივები. ძნელი მისახვედრი არ არის, რატომ ხდება ეს: აშკარაა, რომ სპორტული სკოლების ხელმძღვანელები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ ნიჩბოსნობის განვითარებას.

**ვიქტორ ბრძოლიშვილი,**
**საქართველოს განათლების სამინისტროს ცენტრალური რესპუბლიკური სპორტული სკოლის ინსტრუქტორ-მეთოდისტი.**

## თამაშობენ მასწავლებლები

**ვანის** საჭადრაკო კლუბში ჩატარდა მასწავლებელთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული გუნდური შეჯიბრება ჭადრაკში.

I ადგილზე გავიდა ვანის გ. ტაბიძის სახელობის №2 საშუალო სკოლის გუნდი. II და III ადგილები შესაბამისად ვანის კიროვის სახელობის №1 და ფერეთის საშუალო სკოლების წარმომადგენლებმა დაიკავეს.

**იორამ ნიკოლეიშვილი,**
**„ლელოს" კორ.**

## მკითხველი — გაზეთი

**შეკითხვა: აქვს თუ არა უფლება რაიონის ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარეს იმუშაოს ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლაში შეთავსებით ნახევარ განაკვეთზე და რომელ საათებში შეიძლება შეასრულოს ეს სამუშაო?**

**გურამ ბერიაშვილი.**
თერჯოლა.

**პასუხი:** კანონი არ კრძალავს შეთავსებით მუშაობას თუ შესაბამისი შეთანხმება იქნება ორივე ორგანიზაციის ადმინისტრაციას შორის. ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარეს, თუ ის დარგის უმაღლესი განათლების სპეციალისტია, უფლება აქვს იმუშაოს ბავშვთა სპორტულ სკოლაში შეთავსებით შრომის საათობრივ ანაზღაურებაზე ძირითადი სამუშაოსაგან თავისუფალ დროს, იმ სპორტის სახეობაში, რომელშიც მას შესაბამისი კვალიფიკაცია აქვს.

# ნლშბი ჩმცხლთან ჭიდილში

**იმ** დღეს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოს კლუბს უამრავი ჟურნალისტი ეწვია. ისინი აქ შეიკრიბნენ პრესკონფერენციაზე, რომელიც საბჭოთა კავშირის სახანძრო დაცვის შექმნის 70 წლისთავის მოახლოებულ იუბილეს (იგი 15-17 აპრილს გაიმართება) და ცნობილი მეხანძრისა და სპორტსმენის, თბილისის, საქართველოსა და სსრ კავშირის ჩემპიონის, სპორტის ოსტატ ბონდო შანიძის სახელობის პრიზის გათამაშებისა და რესპუბლიკის XIV ღია ჩემპიონატისათვის მზადებას მიეძღვნა.

საქართველოში სახანძრო დაცვის ისტორიაზე, მეხანძრეთა ცხოვრებაში ფიზკულტურისა და სპორტის დიდ მნიშვნელობაზე, მის აუცილებლობაზე ამ რთული პროფესიის დაუფლებაში, პირველ ქართველ მეხანძრე სპორტსმენებზე, დღევანდელ მდგომარეობაზე სპორტის ამ სახეობაში ილაპარაკა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოს უფროსმა, სახანძრო-გამოყენებითი სპორტის ფედერაციის თავმჯდომარემ, პოლკოვნიკმა ჯ. სურმავამ.

ჟურნალისტების მრავალრიცხოვან შეკითხვებს პასუხი გასცეს რესპუბლიკური სამმართველოს უფროსის მოადგილემ, პოლკოვნიკმა ნ. წიკლაურმა, ქალაქის სამმართველოს უფროსის მოადგილემ, პოლკოვნიკმა ი. ცინცაძემ, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილემ ლ. გორგოძემ და სხვებმა.

# სსრ კავშირის თასზე

**დაიწყო** ფეხბურთში სსრ კავშირის თასის მეოთხედფინალური ეტაპის მატჩები. 12 აპრილს ხარკოვში ადგილობრივმა „მეტალურგმა“ მიიღო ვოლგოგრადის „როტორი“ და გაიმარჯვა ანგარიშით 1:0.

საქართველოს ტელევიზიას შესაძლებლობა მიეცა დნეპროპეტროვსკიდან ადგილობრივი „დნეპრის“ და თბილისის „დინამოს“ შეხვედრის ტელერეპორტაჟი გადმოეცა. მატჩი მიმდინარეობდა დაძაბულ ბრძოლაში და დამთავრდა მასპინძლების გამარჯვებით — 2:1.

გუშინ გაიმართა კიდევ ორი შეხვედრა. გაზეთის დაბეჭდვის წინ ცნობილი იყო მხოლოდ ერთი შედეგი — ვილნიუსის „ჟალგირისმა“ დაამარცხა ბაქოს „ნეფთჩი“ — 2:1.

## სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

**გუშინ** ერევანში შედგა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის VII ტურის კალენდარული მატჩი ადგილობრივ „არარატსა“ და მოსკოვის „დინამოს“ შორის.

თამაში დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით — 1:0.

## მსახიობები — ჟურნალისტები

**გუშინ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა საინტერესო მატჩი ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ ჟურნალისტებისა და მსახიობებთა ნაკრები გუნდები. გაიმარჯვეს მსახიობებმა — 9:5.**

## შენობა — „ფეხბურთის ბურთი“

**„სფეროუმი“** — ინდივიდუალურ საცხოვრებლების პარიზული სალონის ექსპონატი — წარმოდგენას გვაძლევს იმის შესახებ, თუ როგორი იქნება 21-ე საუკუნის სახლი. ფეხბურთის ბურთის ფორმის ეს პატარა შენობა (დაახლოებით სფეროს ფორმის, რომლის ზედაპირი ხუთკუთხა პანელებისაგან შედგება) „ცხოვრობს“ ბიოლოგიური კანონებით. მისი მოძრავი კედლები იღება და იხურება მზის განათების და ჰაერის ტემპერატურის ცვლის შესაბამისად, ისევე როგორც ყვავილი განთიადისას. ეს ბიოსახლი ყოველდღე აღებს ფანჯრებსა და აივნებს, ხოლო ღამით კი ჩქარობს ხურავს „წამწამები“. პროექტის ავტორები თვლიან, რომ ასეთი „სფეროუმი“ შეიძლება აშენდეს უახლოეს მომავალში, მაგრამ იგი ფანტასტიკური ღირებულების იქნება. თვითონ პროექტი კი 2,5 მილიონი ფრანკი დაჯდა.

# საქართველოს პირველობა

**განვლილ შაბათ-კვირას გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის IV ტურის შეხვედრები. გთავაზობთ მათ ტექნიკურ შედეგებს:**

### I ჯგუფი

**„საპოვნელა“ (თერჯოლა) — „დინამო“ (გაგრა) 3:0. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).** გოლები: სილაგაძე, მგელაძე, ჩინჩალაძე („საპოვნელა“).

სასტვენის შემდეგ ბურთის განზრახ გადაგდებისთვის გააფრთხილეს რ. ბოსტანჯიანი („დინამო“), ხოლო ბურთის ხელით თამაშისთვის კი მ. სილაგაძე („საპოვნელა“).

**„მეშახტე“ (ტყიბული) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 1:0. მსაჯი ს. კვარაცხელია (ზუგდიდი).** გოლი: ვ. ჰყონია („მეშახტე“).

თამაშის წესების სისტემატური დარღვევისთვის გააფრთხილეს ტ. გამყრელიძე („მეშახტე“).

**„სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „არმაზი“ (მცხეთა) 1:0. მსაჯი ი. შალამბერიძე (თბილისი).** გოლი: ი. სიჭინავა („სამეგრელო“).

დროის განზრახ გაყვანისთვის გააფრთხილეს გ. დარსალია („სამეგრელო“), ხოლო მსაჯთან კამათისთვის — ჯ. სონღულაშვილი („არმაზი“).

**„დურუჯი“ (ყვარელი) — „ქართლი“ (გორის რ-ნი) 2:2. მსაჯი მ. მალაღურაძე (თბილისი).** გოლები: ლობჟანიძე, ელოევი („დურუჯი“), ნოზაძე, გოგიშვილი („ქართლი“).

სათამაშო წესების დარღვევისთვის გააფრთხილეს დ. ჰუნაშვილი („დურუჯი“).

**„ამირანი“ (ოჩამჩირე) — „ივერია“ (ხაშური) 1:0. მსაჯი მ. ჰელიძე (თბილისი).** გოლი: ჯანგიძე („ამირანი“).

**„ბახტრიონი“ (ახმეტა) — „შადრევანი“ (წყალტუბო) 2:0. მსაჯი თ. ლორთქიფანიძე (თბილისი).** გოლები: ორმოცაძე, ბაბილაშვილი („ბახტრიონი“).

**„სპარტაკი“ (ცხინვალი) — „კოლხეთი“ (ხობი) 0:1. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).** გოლი: ჩიმაკაძე („კოლხეთი“).

**„მაღაროელი“ (ჭიათურა) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 1:1. მსაჯი ო. გაგუა (სოხუმი).** გოლები: სევასტოპულო („მაღაროელი“), ანიაშვილი (ფიზკ. ინსტ.).

**„სულორი“ (ვანი) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 2:0. მსაჯი ს. პრავოვი (გაგრა).**

**„დინამო“ (ზუგდიდი) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 4:1. მსაჯი ი. გობრონიძე (ფოთი).** გოლები: მალანია-2, მ. შეროზია, მაქაცარია („დინამო“), თოდუა (11-მეტრიანით, „სალხინო“).

მსაჯის გადაწყვეტილების დემონსტრაციულად უარყოფისთვის გააფრთხილეს გ. ჰუბაბრია („სალხინო“).

**„მადნეული“ (ბოლნისი) — „სქური“ (წალენჯიხა) 3:1. მსაჯი ჯ. წერეთელი (რუსთავი).** გოლები: ბად. უგულავა-2, ბეს. უგულავა („მადნეული“), კვარაცხელია („სქური“).

### II ჯგუფი

**აღმოსავლეთი ქვეჯგუფი**

„მეფრინველე“ (კასპი) — „ვარძია“ (ასპინძა) 1:1, „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) — „სამგორი“ (გარდაბანი) 4:3, „თრიალეთი“ (წალკა) — „აბული“ (ახალქალაქი) 1:1, „მესხეთი“ (ახალციხე) — „არაგვი“ (დუშეთი) 1:1, სასწავლო-საცდელი მეურნეობა (მუხრანი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 2:1, „იმედი“ (თბილისი) — „კახეთი“ (თელავი) 1:1, „ალგეთი“ (მარნეული) — „თორი“ (ბორჯომი) 1:0.

**დასავლეთი ქვეჯგუფი**

„საირმე“ (მაიაკოვსკი) — „ქიმიკოსი“ (ამბროლაური) 5:0, პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ქუთაისი) — „კოლხეთი“-2 (ფოთი) 0:3, „ოდიში“ (ზუგდიდის რ-ნი) — „იმერეთი“ (წულუკიძე) 0:1, „ჩიბათი“ (ლანჩხუთი) — „დარჩელი“ (ზუგდიდის რ-ნი) 3:1, „მზიური“ (გალი) — „დვაბზუ“ (მახარაძე) 2:0, „ჩიხურა“ (საჩხერე) — „მამისონი“ (ონი) 1:1, ხდკ (სამტრედია) — „ჩხერიმელა“ (ორჯონიკიძე) — 1:2, „ნარინჯი“ (ქობულეთი) — „ბახმარო“ (ჩოხატაური) 1:0.

პირველი ტურის შეხვედრაში საჩხერის „ჩიხურამ“ ფრედ — 1:1 ითამაშა ზუგდიდის „დარჩელთან“.

### III ჯგუფი

**აღმოსავლეთი ქვეჯგუფი**

„ალაზანი“ (გურჯაანი) — „თუშეთი“ (ალვანი) 3:1, „გარეჯი“ (საგარეჯო) — „განთიადი“ (დმანისი) 2:0, „მიონი“-35 (თბილისი) — „კოლმეურნე“ (მარნეულის რ-ნი) 3:1, „შირაქი“ (წითელწყარო) — „ნაფარეული“ (თელავის რ-ნი) 0:0, „სპი“ (თბილისი) — „მეტალურგი-2“ (რუსთავი) 5:3, „სინათლე“-სპორტინტერნატი (თბილისი) — „ქიზიყი“ (სიღნაღი) 0:0, „ვარდისუბანი“ (ლაგოდეხის რ-ნი) — „მარაბდა“ (კოდა) 4:0.

**ცენტრალური ქვეჯგუფი**

„ქვემოჭალა“ (კასპი) — „ორპირი“ (ტყიბული) 2:2, „ხვამლი“ (ცაგერი) — „მშენებელი“ (ჭიათურა) 0:4, „იბერია“ (ქარელი) — „მეავეჯე“ (ახალდაბა) 4:1, „მეშაქრე“ (აგარა) — „ლიახვი“ (ცხინვალის რ-ნი) 1:0, „ზარზმა“ (ადიგენი) — „ავტომობილისტი“ (გორი) 2:0.

**დასავლეთი ქვეჯგუფი**

„ბეთლემი“ (ქედა) — „სპარტაკი“ (ბათუმი) 1:0, „ახალსოფელი“ (ზუგდიდის რ-ნი) — „განთიადი“ (ცხაკაია) 2:1, „მელექედური“ (მახარაძის რ-ნი) — „კახაბერი“ (ხელვაჩაური) 2:1, „ზანა“ (აბაშა) — „მეშახტე“ (ტყვარჩელი) 2:2, „კოლხიდა“ (ქუთაისი) — „ავტომობილისტი“ (ბათუმი) 3:1.

**შენიშვნა:** სოხუმის სუბტროპიკული ინსტიტუტის გუნდი განაცხადის წარმოუდგენლობის გამო მოიხსნა გათამაშებიდან. თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის და მუხნარის გუნდები გაერთიანდნენ და გამოვლენ მეორე ჯგუფში სახელწოდებით მუხრანის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდი.

7 აპრილს გამართული შეხვედრა ტყვარჩელის „მეშახტესა“ და მახარაძის „მელექედურს“ შორის დამთავრდა მახარაძელთა გამარჯვებით — 2:1.

### გათამაშების ცხრილი

**I ჯგუფი**

**მდგომარეობა 14 აპრილისათვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მადნეული“ | 4 | 4 | 0 | 0 | 9-1 | 8 |
| „კოლხეთი“ | 4 | 4 | 0 | 0 | 7-2 | 8 |
| „დინამო“ ზ. | 4 | 2 | 2 | 0 | 9-3 | 6 |
| „ამირანი“ | 4 | 3 | 0 | 1 | 8-2 | 6 |
| „სულორი“ | 4 | 2 | 2 | 0 | 4-1 | 6 |
| „სამეგრელო“ | 4 | 2 | 1 | 1 | 5-4 | 5 |
| „ბახტრიონი“ | 4 | 2 | 1 | 1 | 3-2 | 5 |
| „შადრევანი“ | 4 | 2 | 1 | 1 | 3-2 | 5 |
| „დურუჯი“ | 4 | 1 | 3 | 0 | 6-5 | 5 |
| „დინამო“ გ. | 4 | 2 | 0 | 2 | 2-5 | 4 |
| ფიზკ. ინსტიტუტი | 4 | 1 | 2 | 1 | 5-4 | 4 |
| „მაღაროელი“ | 4 | 1 | 2 | 1 | 5-5 | 4 |
| „საპოვნელა“ | 4 | 1 | 1 | 2 | 4-3 | 3 |
| „სალხინო“ | 4 | 1 | 1 | 2 | 6-8 | 3 |
| „ეგრისი“ | 4 | 1 | 1 | 2 | 5-7 | 3 |
| „მეტალურგი“ | 4 | 1 | 0 | 3 | 3-4 | 2 |
| „არმაზი“ | 4 | 1 | 0 | 3 | 4-6 | 2 |
| „მეშახტე“ | 4 | 1 | 0 | 3 | 1-5 | 2 |
| „ივერია“ | 4 | 1 | 0 | 3 | 3-8 | 2 |
| „სქური“ | 4 | 0 | 2 | 2 | 2-6 | 2 |
| „ქართლი“ | 4 | 0 | 2 | 2 | 3-9 | 2 |
| „სპარტაკი“ | 4 | 0 | 1 | 3 | 3-8 | 1 |

### მსაჯთა რეესტრი

**16 აპრილი**

„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „მაღაროელი“ (ჭიათურა). **მ. მალლაფერიძე, პ. დოგრაშვილი, ვ. შელია.**

„არმაზი“ (მცხეთა) — „დურუჯი“ (ყვარელი). **ვ. ეჯიბია, გ. თხელიძე, ი. კანდელაკი.**

„ქართლი“ (გორის რ-ნი) — „ბახტრიონი“ (ახმეტა). **ი. გობრონიძე, ა. კოკაია, ვ. წულუკიძე.**

„დინამო“ (გაგრა) — „სულორი“ (ვანი). **ე. გვარამაძე, ა. ბეჟიაშვილი, ო. გუნთაძე.**

„სალხინო“ (გეგეჭკორი) — „მადნეული“ (ბოლნისი). **გ. ლორთქიფანიძე, ვ. ალიევი, ვ. სპანდერაშვილი.**

**17 აპრილი**

„მეშახტე“ (ტყიბული) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ). **ვ. შელია, მ. მალლაფერიძე, პ. დოგრაშვილი.**

„შადრევანი“ (წყალტუბო) — „ივერია“ (ხაშური). **ე. სილაგავა, ზ. ცინცაძე, ვ. სპანდერაშვილი.**

„ამირანი“ (ოჩამჩირე) — „სპარტაკი“ (ცხინვალი). **ო. გუნთაძე, ე. გვარამაძე, ა. ბეჟიაშვილი.**

„კოლხეთი“ (ხობი) — „საპოვნელა“ (თერჯოლა). **გ. გაგნიძე, ნ. კოლაძე, ზ. დარჩია.**

„ეგრისი“ (ცხაკაია) — „დინამო“ (ზუგდიდი). **მ. კობიაშვილი, თ. ლორთქიფანიძე, ვ. ალიევი.** „სქური“ (წალენჯიხა) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი). **ს. პრავოვი, რ. ჩიქოვანი, ა. ამიჩბა.**

# ორი ტურის შემდეგ

**ბრძელდება** ოლიმპიური რეზერვებისა და I ლიგის ფეხბურთელთა გუნდებთან არსებული სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლების საკავშირო პირველობა. გაიმართა II ტურის შეხვედრები, გთავაზობთ შედეგებს.

35-ე სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 8:3, „გურია“ (ლანჩხუთი) — „დინამო“ (ბათუმი) 2:2, „დინამო“ (თბილისი) — ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) 4:1. ორი ტურის შემდეგ გათამაშების ცხრილი ასე გამოიყურება:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 35-ე სკოლა | 2 | 2 | 0 | 0 | 11-5 | 4 |
| „დინამო“ (ბ.) | 2 | 1 | 1 | 0 | 4-3 | 3 |
| „დინამო“ (თბ.) | 2 | 1 | 0 | 1 | 6-4 | 2 |
| ასს | 2 | 1 | 0 | 1 | 4-4 | 2 |
| „გურია“ | 2 | 0 | 1 | 1 | 2-5 | 1 |
| „ტორპ.“ | 2 | 0 | 0 | 2 | 4-10 | 0 |

მესამე ტურში 17 აპრილს ერთმანეთს შეხვდებიან: ასს (თბილისი) — 35-ე სკოლა (თბილისი), „დინამო“ (ბათუმი) — „დინამო“ (თბილისი), „ტორპედო“ (ქუთაისი) — „გურია“ (ლანჩხუთი).

**გერმანიის** ფედერაციულ რესპუბლიკაში მარტის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს „ფკ კიოლნის“ წევრი იურგენ კოლერი (22 წლის). გამარჯვებულმა რეფერენდუმში 47 ხმა მიიღო. 44 ხმით მეორე ადგილზე გავიდა „შალკე 04“-ის მოთამაშე ოლაფ ტონი. მესამე ადგილზეა ლოტარ მათეუსი (40 ქულა, „ბაიერნი“). უცხოელ ფეხბურთელთაგან საუკეთესოდ მიჩნეულია პოლონელი ოკონსკი (12 ქულა).

**„ჰონვედის“** (უნგრეთი) ფეხბურთელი შ. შალაი ამიერიდან დორტმუნდის „ბორუსიაში“ ითამაშებს. სეზონის დასაწყისიდან უნგრეთის ეს კლუბი უკვე მეოთხე მოთამაშეს ჰკარგავს, მანამდე გუნდი დატოვეს: გარაბამ (გადავიდა საფრანგეთის „რენში“), დაიკამ (ესპანეთის „ლას პალმასში“) და დეტარმა (გფრ, ფრანკფურტის „აინტრახტში“).

**ინგლისის** „უიმბლდონმა“ ორი ახალი ფეხბურთელი შეიძინა, ესენი არიან ვეტერანები, 30 წლის პეტერ ბარნსი („მანჩესტერ იუნაიტედი“) და 31 წლის ლარი კანინგემი (ბელგიის „შარლერუა“).

**„დანდი იუნაიტედში“** (შოტლანდია) ჩაირიცხა ფინეთის ეროვნული ნაკრების თავდამსხმელი, 21 წლის მიკამატი პაატელაინენი, რომელშიც კლუბმა 100 ათასი დოლარი გადაიხადა.

**ევროპაში** მოთამაშე პირველი პანამელი ფეხბურთელი რომელ ფერნანდეს გუტიერესი იქნება. იგი გამოვა ესპანეთის „ტენერიფეში“.

# ფეხბურთი

**საერთაშორისო ფეხბურთი: შედეგები, ცხრილები**

გაიმართა ევროპის ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატების მორიგი ტურის შეხვედრები.

### ჰოლანდია

**29-ე ტური.** „ეინდჰოვენი“ — „ჰარლემი“ 1:0, „დორდრეხტი“ — „გრონინგენი“ 0:4, „სპარტა“ — „ალკმაარი“ 0:1, „როდა“ — „დენ ბოში“ 0:1, „სიტარდი“ — „ვოლენდამი“ 0:0, „აიაქსი“ — „ვენლო“ 1:0, „უტრეხტი“ — „ტილბურგი“ 1:1, „ტვენტე“ — „ცვოლე“ 3:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ეინდჰოვენი“ | 29 | 105-23 | 52 |
| „აიაქსი“ | 29 | 68-33 | 44 |
| „ტვენტე“ | 29 | 50-35 | 33 |

### ესპანეთი

**31-ე ტური.** „კადისი“ — „ბარსელონა“ 0:2, „ბეტისი“ — „მურსია“ 0:0, „ვიგო“ — „სან-სებასტიანი“ 2:0, „ლოგრონესი“ — „ვალიადოლიდი“ 1:0, „მალიორკა“ — „რეალი“ 0:2, „საბადელი“ — „ხიხონი“ 1:0, „ატლეტიკო“ (მადრიდი) — „სარაგოსა“ 3:0, „ატლეტიკო“ (ბილბაო) — „ოსასუნა“ 2:1, „ვალენსია“ — „ლას პალმასი“ 3:1, „ესპანიოლი“ — „სევილია“ 3:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „რეალი“ | 31 | 80-30 | 53 |
| „სან-სებასტიანი“ | 30 | 50-32 | 43 |
| „ატლეტიკო“ (მად.) | 31 | 48-38 | 39 |

### ინგლისი

**36-ე ტური.** „უოტფორდი“ — „ქუინს პარკი“ 0:1, „ჩელსი“ — „არსენალი“ 1:1, „ქოვენთრი“ — „ოქსფორდი“ 1:0, „მანჩესტერ იუნაიტედი“ — „დერბი“ 4:1, „ნიუკასლი“ — „ლუტონი“ 4:0, „ნორვიჩი“ — „ჩარლტონი“ 2:0, „ნოტინგემი“ — „ლივერპული“ 2:1, „შეფილდი“ — „ვესტ ჰემი“ 2:1, „საუთჰემპტონი“ — „უიმბლდონი“ 2:2, „ტოტენჰემი“ — „პორტსმუთი“ 0:1.

**37-ე ტური.** „არსენალი“ — „ნორვიჩი“ 2:0, „ჩარლტონი“ — „უოტფორდი“ 1:0, „დერბი“ — „ნიუკასლი“ 2:1, „ლივერპული“ — „მანჩესტერ იუნაიტედი“ 3:3, „ოქსფორდი“ — „საუთჰემპტონი“ 0:0, „პორთსმუტი“ — „ნოტინგემი“ 0:1, „ქუინს პარკი“ — „ტოტენჰემი“ 2:0, „ვესტ ჰემი“ — „ევერტონი“ 0:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ლივერპული“ | 33 | 73-20 | 77 |
| „მანჩესტერ იუნ.“ | 35 | 58-35 | 66 |
| „ნოტინგემი“ | 33 | 58-29 | 63 |

### იუგოსლავია

**22-ე ტური.** „ცრვენა ზვეზდა“ — „პარტიზანი“ 1:1, „ჟელეზნიჩარი“ — „ჰაიდუკი“ 3:0, „ნაქშიჩი“ — „პრიშტინა“ 1:1, „ოსიეკი“ — „ნიცი“ 0:0, „ვარდარი“ — „რიეკა“ 0:0, „ნოვი სადი“ — „ბუდუჩნოსტი“ 0:0, „რადი“ (ბელგრადი) — „დინამო“ (ზაგრები) 0:3, „ველეჟი“ — „სარაევო“ 4:0, „ზენიცა“ — „ტუზლა“ 3:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ველეჟი“ | 22 | 33-18 | 28 |
| „ცრვენა ზვეზდა“ | 22 | 43-31 | 27 |
| „დინამო“ (ზაგრ.) | 22 | 33-22 | 27 |

### საფრანგეთი

**30-ე ტური.** „რესინგი“ (პარიზი) — „ტულუზა“ 0:0, „სენტ ეტიენი“ — „სენტ ჟერმენი“ 1:3, „ბრესტი“ — „ნიორი“ 1:0, „ლილი“ — „მონაკო“ 0:1, „ტულონი“ — „კანი“ 1:0, „ლავალი“ — „ბორდო“ 0:0, „ოსერი“ — „მარსელი“ 2:0, „მეცი“ — „ლენი“ 2:2, „ნიცა“—„ლე ჰავრი“ 1:2, „ნანტი“—„მონპელიე“ 0:0.

| | | |
|---|---|---|
| „მონაკო“ | 30 | 42 |
| „ბორდო“ | 30 | 37 |
| „რესინგი“ | 30 | 36 |

### პორტუგალია

**28-ე ტური.** „ფარენზე“ — „ესპინიო“ 1:1, „კოიმბრა“ — „რიოავე“ 1:3, „ბენფიკა“ — „ფანაფიელი“ 4:0, „ბელენენსეში“ — „სალგეიროში“ 2:2, „გიმარაეში“ — „შავიში“ 0:0, „ბოავიშტა“ — „ელვაში“ 2:0, „ვარზიმი“ — „სპორტინგი“ 1:3, „პორტო“ — „მარიტიმო“ 2:0, „კოვილია“ — „პორტიმინენსე“ 2:0, „სეტუბალი“ — „ბრაგა“ 2:0.

| | | |
|---|---|---|
| „პორტო“ | 28 | 49 |
| „ბენფიკა“ | 28 | 41 |
| „ბელენენსეში“ | 28 | 35 |

### შოტლანდია

**39-ე ტური.** „დანდი იუნაიტედი“ — „ფკ დანდი“ 1:0, „დანფერმლაინი“ — „აბერდინი“ 1:1, „ჰიბერნიანსი“ — „სელტიკი“ 0:2, „მოზერეული“ — „მორტონი“ 1:0, „რეინჯერსი“ — „ჰართსი“ 1:2, „სენტ მირენი“ — „ფალკირკი“ 0:0.



| | | |
|---|---|---|
| „სელტიკი“ | 39 | 64 |
| „ჰართსი“ | 39 | 56 |
| „რეინჯერსი“ | 39 | 55 |

### ბელგია

**27-ე ტური.** „შარლერუა“ — „ფკ ბრიუგე“ 1:1, „ანტვერპენი“ — „ვარეგემი“ 2:0, „ანდერლეჰტი“ — „ბევერენი“ 4:1. „სენტ ტრიუდენი“ — „ლოკერენი“ 1:0, „მეჰელენი“ — „ფკ ლიეჟი“ 0:1, „კორტრიკი“ — „ბეერსკოტი“ 3:0, „სერკლი“ (ბრიუგე) — „გენტი“ 4:2.

| | | |
|---|---|---|
| „ანტვერპენი“ | 27 | 51 |
| „ფკ ბრიუგე“ | 27 | 40 |
| „მეხელენი“ | 27 | 38 |

(საქ. ინფორმაცია).

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მხოლოდ ტექნიკური შედეგები

**როგორც** მკითხველებმა უკვე იციან, გასულ შაბათს და კვირას გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა რესპუბლიკური ჩემპიონატის მორიგი ტურების მატჩები. გთავაზობთ ამ შეხვედრათა ტექნიკურ შედეგებს.

## საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი კალათბურთში

**9 აპრილი. „მართვე" (თბილისი) — თელავი 126:48 (60:23).**

**„მართვე"**: ხელაშვილი (22), კვეზერელი (19), ნიკურაძე (18), საკანდელიძე (16), ბოლქვაძე (11), გვარამია (9), კოპალეიშვილი (9), ხომერიკი (9), უსტიაშვილი (8), ბაქრაძე (5).

**თელავი**: მჭედლური (13), ვარდიაშვილი (13), დალაქიშვილი (8), ძამუნაშვილი (7), ჯაფარიძე (3), ბრაგვაძე (3) მუშკუდიანი (1).

**10 აპრილი. „მართვე" (თბილისი) — თელავი 133:38 (53:21).**

**„მართვე"**: ხელაშვილი (23), კვეზერელი (20), ნიკურაძე (17), უსტიაშვილი (16), ბაქრაძე (15), საკანდელიძე (13), კორძაძე (10), ბოლქვაძე (10), კოპალეიშვილი (5), ზაროტუიკო (2), გვარამია (2).

* * *

**თელავი**: ვარდიაშვილი (18), მჭედლური (9), დალაქიშვილი (6); ჯაფარიძე (3), მუშკუდიანი (2).

* * *

**9 აპრილი. „ხინათლე" (თბილისი) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) 97:91 (44:48).**

**„ხინათლე"**: გურასპაული (38), ლონდაძე (22), სინჯარაძე (20), ჯორჯიკია (6), ძიძიგური (5), ქორქია (3), ჩაჩხიანი (3).

**პოლიტექნიკური ინსტიტუტი**: გაბრიჩიძე (19), გოგელია (17), გიორგობიანი (16), სანაძე (14), კოტრიკაძე (11), გეგეშიძე (7), ორმოცაძე (4), პეტრიაშვილი (3).

**10. აპრილი. „ხინათლე" (თბილისი) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) 84:82 (38:41).**

**„ხინათლე"**: გურასპაული (32), სინჯარაძე (16), ლონდაძე (14), ჯორჯიკია (13), ქორქია (6), ძიძიგური (3).

**პოლიტექნიკური ინსტიტუტი**: გაბრიჩიძე (30), სანაძე (19), გეგეშიძე (15), ორმოცაძე (7), კოტრიკაძე (6), გოგელია (3), პეტრიაშვილი (2).

* * *

**9 აპრილი. „დინამო" (თბილისი) — გორი 94:106 (41:53).**

**„დინამო"**: ქორფაშვილი (27), კოკოლიშვილი (25), ცისკარიშვილი (24), გრძელიშვილი (8), მაჭავარიანი (4), ამაშუკელი (3), ჭაბუკიანი (3).

**გორი**: ღლონტი (52), ქამუშაძე (18), ჯოლბორდი (17), სხიერელი (10), ცაგარეიშვილი (6), კორძაძე (3).

**10 აპრილი. „დინამო" (თბილისი) — გორი 92:95 (46:56).**

**„დინამო"**: გრძელიშვილი (23), ცისკარიშვილი (22), ქორფაშვილი (17), კოკოლიშვილი (14), კუტიბაშვილი (8), სამნიაშვილი (4), ამაშუკელი (2), ლომთაძე (2).

**გორი**: ღლონტი (41), ქამუშაძე (20), ცაგარეიშვილი (17), სხიერელი (11), ჯოლბორდი (4), კორძაია (2).

* * *

**9 აპრილი. ქუთაისი — ბათუმი 90:54 (50:28).**

**ქუთაისი**: ვაშაკიძე (22), დარსაძე (15), გოქსაძე (15), ხუჯაძე (8), აფრიდონიძე (7), გუბელაძე (6), ანდღულაძე (6), ხაბულიანი (3), დოლაბერიძე (3), გუბერიძე (2), კანდელაკი (2), ენდელაძე (2),

**ბათუმი**: დიხამიძე (29), ქლენტი (7) გ. ემირიძე (6), ბაღათურია (6), ზოიძე (6).

**10 აპრილი. ქუთაისი — ბათუმი 76:63 (38:26).**

**ქუთაისი**: ანდღულაძე (34), გოქსაძე (19), აფრიდონიძე (10), ხუჯაძე (8), გუბელაძე (3), ხაბულიანი (2).

**ბათუმი**: მ. ემირიძე (26), დიხამიძე (11), გ. ემირიძე (8), ზოიძე (8), ქლენტი (4), მეტრეველი (4), ბაღათურია (2).

* * *

**9 აპრილი. სოხუმი — რუსთავი 114:87 (62:36).**

**სოხუმი**: სუშჩენკო (42), სულავა (18), ჩუბინიძე (17), პირველი (15), ჭითავა (15), ქვილითაია (4), გაფრინდაშვილი (3).

**რუსთავი**: ქობულაძე (37), ჭანტურიძე (19), კეჭაყმაძე (13), მიქიაშვილი (6), ხაიაური (4), კიკვიძე (4), ბარამიძე (2), ტეხოვი (2).

**10 აპრილი. სოხუმი — რუსთავი 91:90 (42:40).**

**სოხუმი**: ჭითავა (24), სულავა (17), ჩუბინიძე (17), სუშჩენკო (16), პირველი (10), ჯგერენაია (7).

**რუსთავი**: ქობულაძე (32), კეჭაყმაძე (24), კიკვიძე (14), ჭანტურიძე (7), ბარამიძე (6), აბზიანიძე (5), ხაიაური (2).



# თბილისშიც ვნახავთ „შვიდკაცას"

**ცოტა** ხნის წინათ ჰონკონგში ჩატარდა მოყვარულ რეგბისტთა ფრიად ავტორიტეტული და წარმომადგენლობითი შეჯიბრება — ე. წ. ჰონკონგ სევენსი. ტურნირის რეგლამენტის თანახმად, შვიდკაციანი გუნდები სტანდარტული ზომის მოედანზე „დიდი რეგბის" ყველა წესის დაცვით თამაშობენ, მატჩი ორი შვიდწუთიანი ტაიმისაგან შედგება; ასე რომ, რეგბის ამ ნაირსახეობას შეიძლება „შვიდკაცა" ვუწოდოთ.

წლევანდელ „სევენსში" 24 გუნდი მონაწილეობდა. შესარჩევი ეტაპის შედეგების მიხედვით ისინი სამ რვაგუნდიან ჯგუფად დაიყვნენ: უძლიერესებმა თასისათვის გააგრძელეს ბრძოლა, „საშუალოებმა" — ლანგრის, „სუსტებმა" კი ლარნაკის მოსაპოვებლად იასპარეზეს.

თასის მეოთხედფინალში ავსტრალიელებმა მოუგეს იტალიელებს, ფიჯელებმა — არგენტინელებს, ინგლისელმა „პინგვინებმა" დაამარცხეს ფრანგი „ბარბაროსები", „ჰონკონგის თასის" შარშანდელმა მფლობელებმა — ახალზელანდიელებმა კი ირლანდიელ „ნაგაზებს" სძლიეს. ნახევარფინალში ავსტრალიელებმა მოუგეს ფიჯის გუნდს, „პინგვინები" (რომელთა რიგებში ახალი ზელანდიის ეროვნული ნაკრების სამი წევრი, მათ შორის გუნდის კაპიტანი დევიდ ქირქი, გამოდიოდა) დამარცხდნენ ახალზელანდიელებთან, მარცხს ვერც ახალზელანდიელები გადაურჩნენ: ფინალში მათ ავსტრალიელებმა მოუგეს (13:12) და თასიც ჩამოართვეს. ლანგარი ამერიკელმა რეგბისტებმა მოიპოვეს: მათ ზედიზედ დაამარცხეს ესპანეთისა და ტონგას გუნდები, ფინალში კი სძლიეს კანადელებს, რომლებმაც წინა ეტაპებზე სამხრეთ კორეისა და დასავლეთ სამოას გუნდებს აჯობეს. მოულოდნელად დამთავრდა ასპარეზობა ლარნაკისათვის: შესარჩევ ეტაპზე ახალზელანდიელებთან წაგების შემდეგ ტაივანის გუნდმა მოუგო ტაილანდის, ჰოლანდიისა და დუბაის საემიროს წარმომადგენლებს და მოიპოვა „სანუგეშო" პრიზი, რომელიც, საერთო აზრით, სინგაპურის გუნდს უნდა დარჩენოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ „შვიდკაცა" ყველგან მრავალათასიან აუდიტორიას იკრებს, თანაც შედარებით სუსტ გუნდებს ძლიერებთან შეხვედრის შესაძლებლობას აძლევს. ჩვენში „შვიდკაცას" შარშანდლამდე არ მისდევდნენ; მხოლოდ მოსკოვის საერთაშორისო ტურნირის დროს გაიმართა პირველი შეჯიბრება, ისიც ოთხი გუნდის მონაწილეობით. წელს ანალოგიური ტურნირი თბილისში უნდა ჩატარდეს და სასურველია, ძირითადი შეჯიბრების მონაწილეთა გარდა „შვიდკაცაში" საქართველოს გუნდებმაც იასპარეზონ.

## ხუთჭიდელები კვლავ მოსკოვში იკრიბებიან

15-დან 19 აპრილის ჩათვლით მოსკოვში გაიმართება თანამედროვე ხუთჭიდელთა დიდი საერთაშორისო ტურნირი — „მოსკოვის თასის" ღია გათამაშება. სტარტზე გამოვლენ სსრ კავშირის, უნგრეთის, აშშ-ის, შვეციის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთისა და რუმინეთის წარმომადგენლები. მონაწილეთა შორის იქნებიან ოლიმპიური თამაშების, მსოფლიო და ევროპის პირველობების ჩემპიონები და პრიზიორები.

ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას დაიცავენ — ვახტანგ იაგორაშვილი, ალექსეი ხაპლანოვი, ანდრეი ტროპინი, გერმან იუფეროვი, ანატოლი ავდეევი, ალექსანდრე მაკეევი, იგორ შვარცი და სხვები.

# ბრაზილიელთა ამაო ცდა

**როგორც** უკვე ვიუწყებოდით, 3 აპრილს, ბრაზილიაში, „ჟაკარეპაგუას" ნელსონ პიკეს სახელობის ტრასაზე გათამაშდა „ფორმულა 1"-ის კლასის ავტომობილებით რბოლაში მსოფლიო ჩემპიონატის პირველი ეტაპი.

ტრასაზე ბრაზილიელთა გამოჩენას გულშემატკივრები ოვაციით შეხვდნენ, მაგრამ ასეთმა მხურვალე მხარდაჭერამაც კი ვერ უშველა მსოფლიოს ჩემპიონს ნელსონ პიკეს და აირტონ სენას.

ლიდერობა სტარტიდანვე ხელთ იგდო მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა, ფრანგმა ალენ პროსტმა. მას თითქმის მთელი დისტანციის მანძილზე კვალდაკვალ მიჰყვებოდნენ პიკე, სენა და ავსტრიელი გერჰარდ ბერგერი. მათ რამდენიმეჯერ სცადეს გაესწროთ პროსტისთვის, მაგრამ ამაოდ. ფრანგმა ავტომრბოლმა ტაქტიკურად საუცხოოდ იასპარეზა. საბოლოოდ, სენა ათეულშიც ვერ მოხვდა, პიკე კი მესამე იყო. მეორე ადგილი გერჰარდ ბერგერმა დაიკავა და რეკორდიც დაამყარა — ერთი წრე მან 1 წუთსა და 32 წამში გაიარა.

ახლა კი ეტაპის საბოლოო შედეგები: 1. ალენ პროსტი (საფრანგეთი, „მარლბორო მაკლარენ-ჰონდა") — 9 ქულა; 2. გერჰარდ ბერგერი (ავსტრია, „ფერარი") — 6; 3. ნელსონ პიკე (ბრაზილია, „ლოტუს-ჰონდა") — 4; 4. დერეკ უორვიკი (ინგლისი, „ეროუზ-მეგატრონი") — 3; 5. მიქელე ალბორეტო (იტალია, „ფერარი") — 2; 6. სატორუ ნაკაჯიმა (იაპონია, „ლოტუს-ჰონდა") — 1.

კონსტრუქტორთა პირველობაზე ასეთი მდგომარეობაა: 1. „მაკლარენ-ჰონდა" — 9; 2. „ფერარი" — 8; 3. „ლოტუს-ჰონდა" — 5; 4. „ეროუზ-მეგატრონი" — 3.

ალენ პროსტმა 29-ედ მოიპოვა „დიდი პრიზი".

ჩემპიონატის მეორე ეტაპი 1 მაისს, სან-მარინოში გათამაშდება.

**დავით ჯუზინიძე.**

## კალეიდოსკოპი

### ყველაზე ძვირფასი გამარჯვება

კალგარის ზამთრის ოლიმპიური თამაშების შედეგებით კარინ კანია (გდრ), ცხადია, არ არის კმაყოფილი. მართლაც, 26 წლის დრეზდენელმა მოციგურავემ ბოლო ოლიმპიადაზე ვერაფრით გამოიჩინა თავი. არა და კარინ კანია თექვსმეტჯერაა გამოსული მსოფლიო ჩემპიონატების სტარტზე და თოთხმეტი ჯილდო აქვს მიღებული.

ამას წინათ კანიამ ნორვეგიაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე კლასიკურ მრავალჭიდში მეხუთე ოქროს მედალი მოიგო. ეს გამარჯვება, — განაცხადა სპორტსმენმა შეჯიბრების დამთავრების შემდეგ, — ჩემთვის განსაკუთრებით ძვირფასია, ვინაიდან დავამტკიცე, რომ ერთი შეცდომა ყველას შეიძლება მოუვიდეს. ყოველ შემთხვევაში, ოლიმპიადა ახლა რომ ტარდებოდეს, დარწმუნებული ვარ ერთიორად უკეთ გამოვიდოდი. სპორტსმენმა თავისი შეცდომები დროზე უნდა შეამჩნიოს.

### რომელია სწორი მოსაზრება?

როგორც ცნობილია, ფინელმა ტრამპლინიდან მხტომელმა მატი ნიუკიაინენმა წლეულს ყველა ოლიმპიური ჯილდო მოიგო. სპეციალისტების აზრით, ნიუკიაინენის ფიზიკური მონაცემები იდეალურია სათხილამურო სპორტის ამ სახეობისთვის და ორასმეტრიან ზღვარს, სწორედ ასეთი კონსტრუქციის მხტომელი გადალახავს. შეგახსენებთ, რომ მატი საშუალო ტანისაა და მხოლოდ 58 კილოგრამს იწონის.

მაგრამ ოლიმპიადის შემდეგ ჩატარებულ მფრინავ მოთხილამურეთა პირველსავე ოფიციალურ შეჯიბრებაზე სპეციალისტების მოსაზრება გაბათილდა. შორ მანძილზე ფრენაში ოქროს მედალი მოიპოვა ნორვეგიელმა უვეგუნარ ფიდიესტელმა, სპორტსმენმა, რომელიც უფრო, მძიმე წონის მოკრივეს მოგაგონებთ და თანაც 189 სანტიმეტრის სიმაღლისაა.

საინტერესოა, რომელი მოსაზრება გახლავთ უფრო სწორი?

### სპორტი ყველასათვის

ამ დევიზით გაიმართება 16-20 მაისს პრაღის მეორე საერთაშორისო კონგრესი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ 30 ქვეყნის წარმომადგენლები. ასეთი განცხადება გააკეთა პრესკონფერენციაზე კონგრესის საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტმა, ჩეხოსლოვაკიის სპორტული კავშირის თავმჯდომარემ იურაი ანიჟომ.

აღინიშნა, რომ კონგრესი ჩატარდება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მხარდაჭერის ნიშნით და მის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებს პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი. უკვე გამოქვეყნდა სასემინარო თემები. მათ შორისაა — „სპორტი ყველასთვის, როგორც თანამშრომლობის გაღრმავების ფაქტორი", „სოციალური და ეკონომიკური პირობების ცოდნა", „სპორტის მასობრიობაზე ინფორმაციის გაცვლის აუცილებლობა" და სხვა.

### გარბენა... ლანგარით ხელში

პატარა ქალაქ მელგარეს ატელიეს თანამშრომელმა, ოფიციანტის კოსტიუმში გამოწყობილმა კარლუშ ალბერტუ ფერეირამ ლანგარზე შემოდგმული ფორთოხლის წვენით ხელში, სტარტი აიღო ადგილობრივი მუნიციპალიტეტის შენობიდან. მართალია სირბილის დროს მას ოფიციანტის, უხეში ლაკის ფეხსაცმელის მაგივრად, მოხერხებული სპორტული ფეხსაცმელები ეცვა. მორბენალს განზრახული აქვს თავისი ქვეყნის გზებზე დაფაროს 2.200 კილომეტრი.

სტარტის წინ ჟურნალისტებთან ინტერვიუში კ. ალბერტუ ფერეირამ განაცხადა, რომ არა აქვს პრეტენზია მოხვდეს „გინესის რეკორდების წიგნში". მისი მთავარი მიზანია სპორტის და ცხოვრების ჯანმრთელი წესის პროპაგანდა.

### რობოტი კრივისთვის

„გერმინა"—ასე ჰქვია ბერლინის ერთ-ერთ გაერთიანებას, რომელმაც პირველად მსოფლიოში გამოუშვა სავარჯიშო სტენდი კრივისათვის.

მნიშვნელოვანი შეხვედრის წინ ასეთი სისტემა მოკრივეს საშუალებას აძლევს ივარჯიშოს უფრო „ინტელექტუალურ" მოწინააღმდეგესთან, ვიდრე სავარჯიშო „მსხალია". რობოტს შეუძლია მიტრიალ-მოტრიალდეს და „ზურგაც" დაუბრუნოს მეტოქეს. ავტომატი შეიძლება აეწყოს პოტენციური მოწინააღმდეგის სიმაღლეზე და როგორც ჟურნალი „უ+ტ" (გდრ) იუწყება, გაძლიერებული პროგრამის ავტომატი უფრო დახვეწავს კრივს.

### რამდენი „რაინდი" ჰყავს „დედოფალს"

დღესდღეობით 35 მილიონი ადამიანი ვარჯიშობს მძლეოსნობაში. როგორც სინჰუას სააგენტო იტყობინება ლონდონიდან, სწორედ ეს ციფრია მოყვანილი მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის (იააფი) მიერ გამოქვეყნებულ მიმოხილვაში.

„სპორტის დედოფლის" „რაინდთა" ამ არმიაში ვაჟები 59 პროცენტს შეადგენენ, „სუსტი სქესის" წარმომადგენლები კი — 41 პროცენტს.

მძლეოსნურ დისციპლინებში პირველ ადგილზეა რბენა, რომელშიც მძლეოსანთა 58 პროცენტი ვარჯიშობს. მომეცადინეთა 33 პროცენტი 18 წელზე უფროსი ასაკისაა, ნახევარზე მეტი — 58 პროცენტი, 18 წელზე ახალგაზრდები არიან.

შთამბეჭდავია ვეტერანთა რიცხვიც (40 წელს უფროსი ასაკის მამაკაცები და ქალები 35 წელზე უფროსი ასაკისა), იგი 15 პროცენტს უდრის (5 მილიონი ადამიანი).

**კალეიდოსკოპი**

## „სპორტპროგნოზი"

**მე-15 ტირაჟის შედეგები**

**(9-10 აპრილი)**

1—X; 2—2, 3—1, 4—1, 5—1, 6—1, 7—1, 8—X, 9—X, 10—X, 11—1, 12—1, 13—X.

**შენიშვნა**: პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

რედაქტორი
**თ. გაჩეჩილაძე.**



**ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი**

## 18 აპრილი

## ფეხბურთი

**სსრ კავშირის ჩემპიონატი**

**„დინამო" (თბილისი) — „არარატი" (ერევანი).**

დასაწყისი 19 საათზე.

მატჩზე დასასწრები და ლატარიის ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 15 აპრილიდან, ხოლო ორგანიზაციებში — 15 აპრილს. სალაროები ღიაა 10-დან 19 საათამდე (შესვენება 14-15 საათამდე).

აბონემენტების მფლობელებს ლატარიის ბილეთების შეძენა შეუძლიათ № 7 სალაროში.

* * *

სათადარიგო შემადგენლობათა მატჩი გაიმართება 17 აპრილს. დასაწყისი 18 საათზე. უამინდობის შემთხვევაში თამაში შედგება „ლოკომოტივის" სტადიონზე იმავე დროს.

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი 68435**

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05293